

ცირკულარული ეკონომიკის პროგრამა საქართველოში „საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის შეფასება“

ჩვენი ტრადიციული, წრფივი ეკონომიკური სისტემა „აილე-დაამზადე-გადააგდე“ სქემით მუშაობს. წარმოების ასეთი მეთოდი პროდუქტების დასამზადებლად მაქსიმალურად დიდი რაოდენობის რესურსებს იყენებს, ხოლო გამოუსადეგარი მასალები თანდათანობით იყრება. მან მფლანგველობის კულტურას ნორმად აქცია, რამაც ბუნებრივ რესურსებზე და კლიმატზე წნეხი გაზარდა.

წრფივ ეკონომიკის საპირისპიროა ცირკულარული განვითარება, რომელიც სოციალური და გარემოსდაცვითი კუთხით პასუხისმგებლიანი წარმოება-მოხმარების მოდელია და მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. ცირკულარული ეკონომიკა ეკონომიკური განვითარებისადმი სისტემური მიდგომაა, რომელსაც სარგებელი როგორც ბიზნესისთვის, ასევე საზოგადოებისა და გარემოსთვის მოაქვს. წრფივი „აილე-დაამზადე-გადააგდე“ მოდელისაგან განსხვავებით, ცირკულარული ეკონომიკა, თავისი არსით, აღდგენითი ხასიათისაა და მისი მიზანი განვითარების პროცესის სასრული რესურსების მოხმარებაზე დამოკიდებულებისაგან თანდათანობით განთავისუფლებაა.

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა წარმოებისა და მოხმარების მეთოდების ძირფესვიან ცვლილებას საჭიროებს. ცირკულარ ეკონომიკაში საქონელი იმგვარად იქმნება, რომ იყოს გამძლე, შესაძლებელი იყოს მისი მოდერნიზაცია, შეკეთება და ხელახლა გამოყენება; ამასთან, ხმარებიდან ამოღების შემდეგ გათვალისწინებულია მათ დასამზადებლად მოხმარებული მასალების მეორადი გამოყენება. მოხმარების ეტაპზე პროდუქტები იმგვარად იმართება, რომ მაქსიმალურად გამოიყენებოდეს და ექსპლუატაციის ვადა გახანგრძლივდეს, რისი წყალობითაც მათი ღირებულების შენარჩუნება შეძლებისდაგვარად დიდხანს ხდება. ამას ის კომპანიები ახერხებენ, რომლებმაც შეიმუშავეს ახალი ბიზნესმოდელები, სადაც შემოსავალი მომსახურებიდან მიიღება და არა საქონლიდან, ამასთანავე რესურსები უფრო ეფექტიანად მოიხმარება და/ან ხმარებიდან ამოღებული საქონელი თუ მასალები ახალ ღირებულებას იძენს. მოხმარებლები კი საქონელს იყენებენ ეფექტიანად და იმგვარად იცილებენ, რომ შესაძლებელი იყოს მათი ხელახლა გამოყენება, ხოლო თუ ასეთი რამ ტექნიკურად შეუძლებელი ან ეკონომიკურად გაუმართლებელია, გადამამუშავებელი ობიექტები მათ გარდაქმნიან მეორად ნედლეულად, რომელმაც შეიძლება წარმოება-მოხმარების ახალ ციკლი გაიაროს. აღნიშნული მოითხოვს მთელი სისტემის მხარდაჭერას, დაწყებული ტექნოლოგიებითა თუ ინფრასტრუქტურით და დამთავრებული ღირებულებათა ჯაჭვის რგოლებსა თუ სხვადასხვა ჯაჭვებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობი საბაზრო სტრუქტურით, ასევე მმართველობის ფორმითა და რეგულაციებით, რომლებიც კომპანიებს წახალისებს ცირკულარული მიდგომები სოციალურ ნორმად აქციონ, რის შედეგადაც საზოგადოება ცირკულარულ წარმოება-მოხმარებას მიანიჭებს უპირატესობას.

ახლახან საქართველო ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარებულ გზას დაადგა და მისი ძირითადი ამოცანაა 'ხმარებიდან ამოღების' კონცეფცია ისეთი ეკონომიკური სისტემით ჩაანაცვლოს, სადაც მასალების ციკლები ჩაკეტილია. მთავრობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აკადემიური სექტორისა და საერთაშორისო პარტნიორების შეთანხმებული ძალისხმევით, საქართველომ ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიისა და გზამკვლევის შემუშავება დაიწყო. მათი მიზანია ყოვლისმომცველი მიდგომის გამოყენება მრავალი მიმართულებით, რომლებიც მოიცავს წარმოებას, მოხმარებას, ნარჩენების მართვას, მეორად ნედლეულს, ინოვაციებს, ინვესტიციებს, ასევე სხვადასხვა სფეროებში მიმდინარე პროექტებს, რომლებსაც სხვადასხვა დარგებში, სხვადასხვა მოთამაშეები ახორციელებენ და ღირებულებათა ჯაჭვის სხვადასხვა რგოლს განეკუთვნება, ან განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფება.

ცირკულარობაზე დაჩქარებული გადასვლის პროცესის პირველი ნაბიჯია საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის შესწავლა და ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიისათვის რეკომენდაციების შემუშავება. ეს საქმიანობა 2020 წელს, ცირკულარული ეკონომიკის მიმდინარე პროგრამის ფარგლებში დაიწყო, რომელსაც საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ (სბმკ „ორქისი“), საქართველოს მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით და შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით

ახორციელებს. ცირკულარობის შეფასების ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია პროგრამის გუნდსა და საქართველოს მთავრობას შორის მჭიდრო თანამშრომლობა, რათა ცირკულარობის არსებული დონე სათანადოდ შეფასდეს, ცირკულარული ეკონომიკის ეროვნული პოლიტიკის სათანადო რაოდენობრივი სამიზნე მაჩვენებლები და ცირკულარული მიზნები განისაზღვროს, დარგობრივი შესაძლებლობები გამოვლინდეს და დარგობრივი პოლიტიკის ვარიანტები განისაზღვროს, ხოლო მომავალში საქართველოს ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევისა და სტრატეგიის შემუშავება მოხდეს.

ცირკულარული ეკონომიკის პროგრამის განხორციელებას ცირკულარული ეკონომიკის საერთაშორისო ექსპერტი უძღვება. მას ეხმარებიან საქართველოს ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოციალურ, მმართველობისა და მდგრადი განვითარების საკითხებში ღრმად ჩახედული ადგილობრივი ექსპერტები. ეკონომიკის ცირკულარობის შეფასების პროცესისათვის საქართველოს მთავრობამ უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფი (საქართველოს მთავრობის საკოორდინაციო საბჭო) ჩამოაყალიბა, რომელშიც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები შედიან, რათა მასში ცოდნის ფართო სპექტრი იყოს წარმოდგენილი და საკვანძო უწყებები ადრეულ ეტაპზევე ჩაერთონ პროცესში. ზემოაღნიშნულ საკოორდინაციო საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობითი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ამას გარდა, ინტენსიური კონსულტაციების მეშვეობით ცირკულარობის შეფასების პროცესში სხვა საკვანძო დაინტერესებული მხარეები, მათ შორის სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები და სააგენტოები, ბიზნესები და ბიზნესასოციაციები, მუნიციპალიტეტები და სხვანი იქნენ ჩართულნი.

ცირკულარობის დონის შეფასება კომპლექსური პროცესია. მის განსახორციელებლად პროგრამის გუნდმა საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონე სამ ეტაპად შეაფასა. საწყის ეტაპზე მოხდა გამოცხირლვა, რათა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ აღრიცხული 90 ეკონომიკური დარგიდან (საქმიანობიდან) შერჩეულიყო ეკონომიკის ცირკულარულ მოდელზე გადასვლის თვალსაზრისით პერსპექტიული დარგები. გამოსაცხირლად ორი მარტივი კრიტერიუმი იქნა გამოყენებული: ეკონომიკური კრიტერიუმი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკაში კონკრეტული დარგის როლს ასახავს (წვლილი მშპ-ში; წლიური გამოშვება; დასაქმებულთა რაოდენობა); და წარმოქმნილი ნარჩენების ან დანაკარგების მოცულობა. გამოცხირლვის შედეგად განისაზღვრა 14 დარგი, რომელთაც ცირკულარობის განვითარების გარკვეული (საშუალო, მაღალი ან ძალიან მაღალი) შესაძლებლობა გააჩნია.

მეორე ეტაპზე, უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ მოწოდებული ინფორმაციის, ოფიციალურ არქივებში არსებული სტატისტიკური მონაცემების და ბოლო წლებში განხორციელებული კვლევების საფუძველზე, პროგრამის გუნდმა 14 შერჩეული დარგი შეაფასა და თითოეული მათგანის მოკლე დახასიათება მოამზადა, რომელიც მოიცავს მასალების ნაკადების (ნედლეული, საქონელი, თანაური პროდუქტები და ნარჩენები), დანაკარგებისა და ნარჩენების, გადამუშავებული ნარჩენების წილის აღწერას, ასევე ნარჩენების გადამუშავების შესაძლებლობის შეფასებას.

ამ მოკლე დახასიათების საფუძველზე, მესამე ეტაპზე გადახედილ იქნა თითოეული დარგის პოტენციალი, განისაზღვრა დარგების პრიორიტეტულობა და ისინი კლასტერებად დაჯგუფდა.

აღწერილი შეფასების პროცესის საფუძველზე მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის შეფასების ანგარიშზე, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ეკონომიკის მოკლე აღწერა ცირკულარობის კუთხით და რეკომენდაციები ცირკულარობის დონის გაზრდის თაობაზე. დღეისათვის ცირკულარობის დონის შეფასების ანგარიშის დიდი ნაწილი უკვე მომზადებულია და ამ დოკუმენტის პროექტი მოკლე დროში გახდება ხელმისაწვდომი. მასში გათვალისწინებული იქნება საკვანძო დაინტერესებული მხარეების მიერ მეოთხე პლენარულ შეხვედრაზე წარმოდგენილი ძირითადი შედეგებისა და ცირკულარობის თაობაზე რეკომენდაციების შესახებ გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები, ასევე ცირკულარობის კონტექსტში საქართველოს ხედვის, მიზნისა და პერსპექტივების განხილვის მიზნით ამავე შეხვედრაზე ორგანიზებული მრგვალი მაგიდის ფარგლებში გამოთქმული მოსაზრებები.